სს „საქართველოს რკინიგზის“ სატენდერო კომისიის
სხდომის ოქმი №6

ქ. თბილისი **30 მარტი, 2023 წელი**

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:
შესყიდვების სააგენტოს უფროსი — რატი ლორთქიფანიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:
შესყიდვების სააგენტოს უფროსის მოადგილე — ნათია მრელაშვილი

კომისიის წევრები:
კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსი — ნინო ჯორბენაძე

კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე — დავით ბაბუნაშვილი

სამშენებლო პროექტების ადმინისტრირების სამსახურის უფროსის მოადგილე — დავით საზანდრიშვილი

ფილიალ მგზავრთა გადაყვანის დირექტორის მოადგილე (მოძრავი შემადგენლობისა და ინფრასტრუქტურის დარგში) — პაატა მუჯირი

კომისიის მდივანი
შესყიდვების სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის კოორდინატორი — თათია ჭოველიძე

დღის წესრიგი: სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ 2022 წლის 05 დეკემბერს **ავტომატრისის** შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ პროცედურაში (**GEO220000675**) მონაწილე პრეტენდენტის **შპს „ტავრიდა ელექტროსისტემსი“-ს (ს/კ 404891603)** მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოდგენილი სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის შერჩევა/შეფასება.

კომისიამ განიხილა: შპს „ტავრიდა ელექტროსისტემსი“-ს მიერ ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოდგენილი სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი შეესაბამება **GEO220000675** ელექტრონული პროცედურის დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

კომისიამ დაადგინა:

1. **შპს „ტავრიდა ელექტროსისტემსი“-ს** მიერ წარმოდგენილი სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი შეესაბამება ზემოაღნიშნული ელექტრონული პროცედურის (**GEO220000675**) დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
2. მომზადდეს საქონლის შესყიდვის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულების პროექტი;
3. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 8 თებერვლის №62 დადგენილებით დამტკიცებული „სს „საქართველოს რკინიგზისა“ და მისი წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიებისა და ასეთი კომპანიების წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის“ მე-16 მუხლის საფუძველზე, **შპს „ტავრიდა ელექტროსისტემს“-თან** გაფორმდეს შესაბამისი ხელშეკრულება;

4. აღნიშნული ელექტრონული პროცედურის ტექნიკური დოკუმენტაციის 8.2 და 9.1 პუნქტების შესაბამისად, პრეტენდენტის მიერ დედნის სახით (ხელზე) წარმოდგენილ იქნას ფასების ცხრილი და ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია აშშ დოლარში **(ხელშეკრულების ღირებულების 5% ოდენობით დღგ-ს ჩათვლით),** ელექტრონული ვაჭრობის დასრულების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად **(არაუგვიანეს 2023 წლის 10 აპრილისა);**
5. სატენდერო კომისიის მიერ დადგენილი ვადების ათვლა იწყება მიმდინარე სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის მოდულში ატვირთვის მომდევნო დღიდან;
6. მოცემულ ოქმში ასახული სატენდერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ჩაითვალოს ცნობად აღნიშნული პრეტენდენტისათვის;
7. წინამდებარე ოქმი ხელმოწერილია ელექტრონულად.

კომისიის თავმჯდომარე:
შესყიდვების სააგენტოს უფროსი
რატი ლორთქიფანიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:
შესყიდვების სააგენტოს უფროსის მოადგილე
ნათია მრელაშვილი

კომისიის წევრები:
კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსი
ნინო ჯორბენაძე

კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
დავით ბაბუნაშვილი

სამშენებლო პროექტების ადმინისტრირების სამსახურის უფროსის მოადგილე
დავით საზანდრიშვილი

ფილიალ მგზავრთა გადაყვანის დირექტორის მოადგილე
(მოძრავი შემადგენლობისა და ინფრასტრუქტურის დარგში)
პაატა მუჯირი

კომისიის მდივანი:
შესყიდვების სააგენტოს სამართლებრივი
უზრუნველყოფის კოორდინატორი
თათია ჭოველიძე